უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №_69_

2018წ. "_14_" _09_

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 700-ით.
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 14 სექტემბრის №14 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ	მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
			ბაკალავრიატი			
1	საშემსრულებლო – შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა (პროგრამული კონცენტრაციები – თეატრის რეჟისურა; მსახიობი – დრამისა და კინოს, მუსიკალური თეატრის, თოჯინების თეატრის, პანტომიმის თეატრის; ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი; ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი; აუდიო–ვიზუალური რეჟისურა – მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ხმის, ტელერეჟისურა; კინო–ტელე ოპერატორი.)	ქართული	08 - ხელოვნების (შესაბამისი დარგის) ბაკალავრი: 0801-აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი, 0804-თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი, 0805-სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი, 0807-ქორეოგრაფიული ხელოვნების ბაკალავრი.	240	აკრედიტებული	25.11.2011 - N336
2	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამა (პროგრამული კონცენტრაციებით – თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)	ქართული	10 - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	25.11.2011 - N337
3	მასობრივი კომუნიკაცია (ტელე–რადიო ჟურნალისტიკა)	ქართული	07 - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	25.11.2011 - N338

4	მენეჯმენტი (ხელოვნების)	ქართული	02 - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (მენეჯმენტში)	240	----------	
5	კულტურული ტურიზმი	ქართული	02 - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (ტურიზმში)	240	აკრედიტებული	25.11.2011 - N340
			მაგისტრატურა			
6	საშემსრულებლო – შემოქმედებითი ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა კონცენტრაციებით: ა. დრამის რეჟისურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; ბ. მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; გ. სცენოგრაფიის ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; დ. დრამატურგის ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; ე. მეტყველების კულტურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; ვ. ქართული ცეკვა და სადადგმო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; ზ. ვოკალის ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; თ. ქართული ხალხური სასიმღერო და სამგალობლო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; ი. აუდიო–ვიზუალური რეჟისურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი – მხატვრული კინოს, დოკუმენტური კინოს, ანიმაციური კინოს, ხმის, ტელერეჟისურა); კ. კინო–ტელე ოპერატორი – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; ლ. კინო–ტელე დრამატურგია – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;	ქართული	ხელოვნების (შესაბამისი დარგის) მაგისტრი - 08 (წარმოდგენილი პროგრამული კონცენტრაციების მიხედვით): ა. თეატრალური ხელოვნების მაგისტრი - 0804 ბ. თეატრალური ხელოვნების მაგისტრი - 0804 გ. თეატრალური ხელოვნების მაგისტრი - 0804 დ. თეატრალური ხელოვნების მაგისტრი - 0804 ე. თეატრალური ხელოვნების მაგისტრი - 0804 ვ. ქორეოგრაფიული ხელოვნების მაგისტრი - 0805 ზ. სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი - 0807 თ. სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი - 0807 ი. აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი - 0801 კ. აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი - 0801 ლ. აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი - 0801 მ. აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი - 0801	120	აკრედიტებული	02.08.2012 - N282

	მ. კინო–ტელე პროდიუსინგი – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)					
7	ხელოვნების ისტორია და თეორია (პროგრამული კონცენტრაციებით: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნო-ქორეოლოგია)	ქართული	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი - 1007	120	აკრედიტებული	02.08.2012 - N283
8	ტელემედია - თეორია და პრაქტიკა (მედიის კვლევები)	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი - 0703	120	აკრედიტებული	02.08.2012 - N284
9	ხელოვნების მენეჯმენტი	ქართული	მენეჯმენტის მაგისტრი - 0203	120	----------	
10	კულტურული ტურიზმი	ქართული	ტურიზმის მაგისტრი - 0205	120	აკრედიტებული	02.08.2012 - N286
			დოქტორანტურა			
11	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (შემოქმედებითი პედაგოგიკა) კონცენტრაციებით: ა. ,,დრამის რეჟისურა"; ბ. ,,მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება"; გ. ,,ვოკალის ხელოვნება"; დ. ,,ეთნოსამუსიკო ხელოვნება"; ე. ,,ქორეოგრაფიის ხელოვნება"; ვ. ,,აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (კინო რეჟისურა)"; ზ. ,,აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (ტელერეჟისურა)"	ქართული	ხელოვნების (შესაბამისი დარგის) დოქტორი - 08 (წარმოდგენილი პროგრამული კონცენტრაციების მიხედვით): ა. თეატრალური ხელოვნების დოქტორი -0804 ბ. თეატრალური ხელოვნების დოქტორი -0804 გ. სამუსიკო ხელოვნების დოქტორი - 0805 დ. სამუსიკო ხელოვნების დოქტორი -0805 ე. ქორეოგრაფიული ხელოვნების დოქტორი -0807 ვ. აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დოქტორი -0801 ზ. აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დოქტორი - 0801	180	აკრედიტებული	02.08.2012 - N287
12	ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები (პროგრამული კონცენტრაციებით: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ქორეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა)	ქართული	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი - 1007	180	აკრედიტებული	02.08.2012 - N288

13	მედიის კვლევა (კულტურა მედიაში)	ქართული	სოციალური მეცნიერებების დოქტორი - 0703	180	აკრედიტებული	02.08.2012 - N289
14	ხელოვნების მენეჯმენტი	ქართული	მენეჯმენტის დოქტორი - 0203	180	----------	
	სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი: (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული უმაღლესი (მილევადი))					
№	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**		**კრედიტების რაოდენობა /პროგრამის სტატუსი/გადაწყვეტილების ნომერი**		
15	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული		60 კრედიტი/ ----------		